მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(92) 2015 წ. 16-31 მარტი ფასი 50 თეთრი

ინტერვიუ

პრიორიტეტული საკითხები და მათი გადაჭრის გზები

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ბიორგი გზირიშვილი.**

– ბ-ნო გიორგი, ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გასული დრო საკმარისია ძირფესვიანად გასცნობოდით ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლის, თავად ქალაქის ყოფით თუ რეალურ პრობლემებს. მთავრობა და ხელისუფლება ყოველდღიურად ადგილობრივი თვითმმართველობიდან დაზუსტებულ ინფორმაციებს ითხოვს პრიორიტეტული საკითხების შესასწავლად და ამ საკითხების მოგვარების გზებს ეძიებს. იქნებ ჩვენი გაზეთის მკითხველს ესაუბროთ ძირითადად რა პრიორიტეტებია დასახული 2015 წლისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში და როგორ მოხდება მათი რეალური განხორციელება?

– პრიორიტეტები მრავალფეროვანი სპექტრითაა წარმოდგენილი, მაგრამ მოდით ჩვენი საუბარი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დავიწყოთ, რომელიც შეძლებისდაგვარად მოხსნის მწვავე პრობლემებს სოფლად. მაშ ასე:

2015 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაფინანსებული პროექტების განსახორციელებლად 1012296 ლარის ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა შესრულდეს. აქედან თანხები ასე განაწილდა:

გომბორის თემი
გომბორი – 18962 ლარი
რუსიანი – 5096
ვერონა – 5299
ვაშლიანი – 4262
ასკილაური – 5597
უჯარმის თემი
უჯარმა – 18306
პალდო – 4715
მუხროვანი – 4906
კოჯბანის თემი
კოჯბანი – 5656
ოთარაანთკარი – 4381
სასადილო – 5275
გორანა – 5299
იკვლივ გორანა – 4489
ხაშმი – 32255
პატარძეული – 48793
ნინოწმინდა – 43217
წყაროსთავი – 19915
ბიორგიწმინდის თემი
გიორგიწმინდა – 44992
ანთოკი – 5215
მარიამჯვარი – 4703
თოხლიაური – 25249
სათაფლე – 5549
მანავის თემი
მანავი – 51676
ზემო ბურდიანი – 4500
დიდი ჩაილური – 25583
პატარა ჩაილური – 25678
კაკაბეთი – 51640
ვერხვიანი – 14720
ყანდაურის თემი
ზემო ყანდაურა – 4477
ქვემო ყანდაურა – 27239
ბადიაური – 30849
მზისგული – 17055
შიბლიანი – 15864
იორმუღანლოს თემი
იორმუღანლო – 42120
ქეშალო – 58777
დუზაბრამის თემი
დუზაგრამა – 26250
პალდო – 25654
წიწმატიანი – 25904
ლამბალოს თემი
ზემო ლამბალო – 63841
ქვემო ლამბალო – 65497
თულარის თემი
თულარი – 62816
კაზლარი – 32612
უდაბნო – 17413

9 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩატარდა სოფლის კრებები, სადაც მოსახლეობამ სოფელში არსებული პრიორიტეტული საკითხები წარმოადგინა. აი ისინიც:

გომბორი – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა; სასმელი წყლის ახალი მაგისტრალის გაყვანა სასმელი წყლის ახალ მაგისტრალამდე.

რუსიანი – სოფლამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა;

ვერონა – სოფლის შიდა გზების მოხრეშვა;

ასკილაური – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;

ვაშლიანი – სოფლის შიდა გზების მოხრეშვა;

თულარი, ქვემო ლამბალო, ზემო ლამბალო, ქეშალო თანხებს აერთიანებს და დუზაგრამაში არსებული „სოკარის წყლიდან“ ცენტრალურ მაგისტრალს გაიყვანენ თითოეულ სოფელში.

კაზლარი – ივრის ხეობის ნაპირსამაგრის რეაბილიტაცია და სასაფლაოზე მოსაცდელის მოწყობა.

კოჯბანი – სასაფლაოს შემოღობვა

ოთარაანთ კარი – ივრის ჭალიდან სოფელში არსებულ რეზერვუარამდე სასმელი წყლის აყვანა

სასადილო – სარწყავი წყლის არხის აღდგენა-რეაბილიტაცია

გორანა – სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაცია და არსებული მილების დაერთება;

იკვლივგორანა – სასმელი წყლის 50მმიანი მილების შეძენა.

უჯარმა – სარიტუალო ინვენტარის შეძენა, სარიტუალო ინვენტარის შესანახად სათავსოს აშენება.

პალდო – სარწყავი არხის შემოღობვა

მუხროვანი – 500 მეტრი სიგრძის ელექტროკაბელის და მათი საყრდენების შეძენა.

ხაშმი – საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა-რეაბილიტაცია;

პატარძეული – ე.წ. რიყის უბანში წმ. შიოს ეკლესიასთან ჭაბურღილის გაწმენდა და „ჩიხლაანთ უბნამდე“ სასმელი წყლის მიყვანა; წმინდა შიოს ეკლესიასთან მდებარე სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია; ე.წ. „ზვრის“ სასმელი წყლის ჭაბურღილის დაქლორვა;

ნინოწმინდა – მე-18 და 24-ე ქუჩებზე სანიაღვრე არხის და კოლექტორის მოწყობა; სკვერის მოწყობა;

წყაროსთავი – ე.წ. „ბეჟიტაანთ უბანში გარეგანათების მოწყობა და შიდასაუბნო გზების მოხრეშვა;

გიორგიწმინდა – ცენტრალური ქუჩის გარეგანათების მოწყობა, საექიმო ამბულატორიის მოწყობა-რეაბილიტაცია;

ანთოკი – სასმელი წყლის რეზერვუართან ახალი ხაზის გაყვანა და შიდა ქსელის მოწყობა;

მარიამჯვარი – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება-რეაბილიტაცია;

კაკაბეთი – შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, ზოგიერთ ადგილას სანიაღვრე არხის მოწყობა;

ვერხვიანი – 1500 მეტრი დაზიანებული წყლის მილიდან 900 მეტრის შეცვლა პოლიეთილენის მილით.

დიდი ჩაილური – წყალსაქაჩი ტუმბოს მონტაჟი და სასმელი მილების შეძენა-მონტაჟი; შიდა საუბნო გზების მოხრეშვა;

პატარა ჩაილური – სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა და ზოგიერთ ადგილას სანიაღვრე მილების ჩაწყობა; შიდა სასოფლო გზების მოწყობა.

მანავი – წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა, სარწყავი არხის – კიუვეტის მოწყობა 150 მ. სიგრძეზე; შიდასასოფლო გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა.

ბურდიანი – წყლის რეზერვუარის მოწყობა;

ყანდაურა – სასოფლო გზის რეაბილიტაცია; ე.წ. „გადასახედის უბნის“ სანიაღვრე არხის მოწყობა.

ზემო ყანდაურა – სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია;

დუზაბრამა, პალდო, წიწმატიანი – წყალსატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია.

პალდო – შიდა საუბნო გზების მოხრეშვა.

მზისგული – სპორტული დარბაზის მოწყობა-რეაბილიტაცია;

შიბლიანი – ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში ერთი ოთახის მოწყობა სამედიცინო პუნქტისათვის, სოფლამდე მისასვლელ ცენტრალურ ქუჩაზე ორმოების ამოვსება ასფალტის საფარით;

უდაბნო – სარიტუალო დარბაზის მოწყობა-რეაბილიტაცია;

სათაფლე – სასაფლაოს შემოღობვა და ქუჩის გარეგანათების მოწყობა;

თოხლიაური – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის უზრუნველყოფა ე.წ. „ვიწრო ტინებიდან“ ბუნებრივი წყლით; საგანმანათლებლო, სახელისუფლებო, სამედიცინო ობიექტების შემოღობვა, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა.

როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა მუნიციპალიტეტებში, ჩვენთანაც ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია. სახეზეა, რა მდგომარეობაშია ჩვენი ქალაქის ცალკეული ქუჩები, ქვეითად მოსიარულეთა ბილიკები, რა სახე აქვს მიღებული სოფლებში არსებულ საუბნო გზებსა თუ სოფლის ცენტრალურ ქუჩას. ამდენად, ამ ეტაპზე ჩვენ უნდა მოვახდინოთ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და ამ რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ჯერ-ჯერობით ცალკეულ გზებზე მოხდება ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. თითოეული ჩვენი

დასასრული მე-3 გვერდზე

სოფლის კრება
უდაბნო

№6(92) 2015 წელი, 16-31 მარტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციული სამშაბათის 17 მარტის თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი** უძღვებოდა. მან გამგებლის წარმომადგენლებიდან გულისყურით მოისმინა თითოეულ სოფელში შექმნილი მდგომარეობა და ყველას სთხოვა ძირფესვიანად შეისწავლონ არა მარტო მთლიანი სოფლის წინაშე არსებული პრობლემები, არამედ იქ თითოეული მაცხოვრებლის მდგომარეობაც და წერილობითი სახით წარმოადგინონ მასთან. როგორც მან აღნიშნა, დღეს ქვეყნის ხელისუფლებისა და მთავრობის წინაშე დგას საკითხი – ყველა პრობლემის მოგვარების აუცილებლობა. მალე სოფლებში დაიწყება იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის დაფინანსებით მოხდება. სოფლის კრებები კარგა ხანია დაიწყო, მათში აქტიურად ჩაება სოფლის მოსახლეობა. ასე, რომ როგორც კი დამთავრდება კრებები, ჩაინიშნება ყველა ის პროცედურა, რაც პროექტმა უნდა გაიაროს და გაზაფხულის კარგი ამინდებიც ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საშუალებას მისცემს მათ.

ხაშმის გამგებლის წარმომადგენლის ზურაბ ყირმელაშვილის ინფორმაციით, ე.წ. აჭარლების დასახლებაში მოსაწესრიგებულია ის გზა, რომლითაც აქაური მოსახლეობა სარგებლობს და ეს გზა ასევე მისასვლელია სოფლის სასაფლაოსათან.

სოფელ პატარძეულის გამგებლის წარმომადგენელმა ნიკო უნაფქოშვილმა ისაუბრა იმ პრობლემაზე, რომელიც პატარძეულის მოსახლეობას აწუხებს, კერძოდ, აქ ჭებზე დასაყენებელია ელექტრომრიცხველები. ხოლო ერთ ჭაბურღილზე სასმელი წყლის მილი ძველია, მისი გამოყენება შეიძლება თუ არა, ამას შემოწმება სჭირდება – მისი საშუალებით კი საკმაოდ დიდი პრობლემა მოეხსნება აქაურ მოსახლეობას.

როგორც გაირკვა, უჯარმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ძველ შენობაში დაზიანდა სახურავი, საიდანაც თოვლისა და წვიმის წყალი აზიანებს აღსაზრდელთა სამეცადინო ოთახს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გამგებლის წარმომადგენლებს სთხოვა მეტი ყურადღება გამოიჩინონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ან იქ არსებული პრობლემის შესახებ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიაწოდონ ინფორმაცია.

საუბარი შეეხო, ასევე სარწყავი სისტემის გაუმართაობას, რომელიც დიდ პრობლემებს შეუქმნით შემდგომში გლეხებსა და ფერმერებს არა მარტო რწყვის სეზონის ნორმალურად ჩატარებაში – დაზიანებული წყლის ჩამკეტი ფარები მნიშვნელოვნად დააზიანებს გზებს, მოშლის ინფრასტრუქტურას. ამ საქმეში კი აუცილებელია შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის ქვემო სამგორის სისტემური სამმართველოს თანამშრომლებთან თანამშრომლობა, მათთვის ინფორმაციის მიწოდება და მათგან ქმედითი ღონისძიებების გატარება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის სხდომას მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გადაცემის შესახებ“ მოხსენებები გააკეთა **გიორგი ქურდოვანიძემ.**

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთებისათვის საჭირო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“ მოხსენება გააკეთა **ბექა ფეიქრიშვილმა** და მის მიერვე იყო წარმოდგენილი საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდის ე.წ. „მირზაანთ უბნის“ მიმდებარედ არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილის ტუმბოს შეძენისა და მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 ოქტომბრის №92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, მოხსენება გააკეთა **არჩილ ჯაბადარმა**.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №67 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **ივანე ბეჟიაშვილმა.**

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის მქონე კომპანიიდან გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული 2015 წლის აპრილის თვის საწვავის ევრორეგულარის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ“, მოხსენება გააკეთა **ნიკოლოზ ბუზარიაშვილმა.**

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მოხსენება გააკეთა **ალექსანდრე მეზვრიშვილმა**. მანვე წარმოადგინა მოხსენება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ.

სხდომაზე დეპუტატებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სოფლის მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო ხვნის ბარათები

26 მარტის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო ბარათები ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6616 ერთეული იყო გაცემული. როგორც ცნობილია, ჩვენს მუნიციპალიტეტში სულ 13064 ბენეფიციარია ჩართული სოფლის საგაზაფხულო პროგრამაში. აქედან 8032 ბენეფიციარზეა გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ბარათი. 26 მარტისათვის გასაცემი აღმოჩნდა 1486 სასოფლო-სამეურნეო ბარათი. როგორც ჩანს ბენეფიციარებს მიწის ნაკვეთის მოხვნაზე მეტად აღნიშნული ბარათის აგრობარათზე გადაცვლა ურჩევნიათ, ამ დასკვნის გამოტანას გვაფიქრებინებს ის, რომ მათგან 1337 სასოფლო-სამეურნეო ბარათი უკან დაბრუნდა აგრობარათზე გადასაცვლელად.

ინტერვიუ

პრიორიტეტული საკითხები და მათი გადაჭრის გზები

სოფლის კრება ვერხვიანი

სოფლის კრება სათაფლე

გაბრძელება

თანამოქალაქე ხედავს ქალაქის ერეკლე II-ისა (ყოფილი სტალინის) და თამარ მეფის ქუჩებზე შექმნილ მდგომარეობას. ერეკლე II-ის ქუჩაზე უკვე ათეული წლებია ისეთ მდგომარეობაშია ტროტუარები, ქვეითადმოსიარულეები უნებურად მანქანების სავალ გზაზე დადიან, თამარ მეფის ქუჩა კი საერთოდ მოსაწესრიგებელია. საერთოდ, ქუჩებისა და გზების სრული რეაბილიტაცია 2015-2018 წლებში უნდა მოხდეს, მაგრამ ჩვენთან თანდათანობით უნდა დაიწყოს ეს პროცესი. ყოველივე ეს ესთეტიკურად მოაწესრიგებს, კეთილმოწყობილს გახდის ქუჩებს, მოწესრიგდება შიდასატრანსპორტო მიმოსვლა, რაც განაპირობებს უსაფრთხო მოძრაობას როგორც ფეხითმოსიარულეთათვის, ისე მძღოლებისათვის.

– ვიცით, რომ სოფლების შიდა გზები ზოგან მართლაც ისეა დაზიანებული, ტრანსპორტს გადაადგილება უჭირს. საუბარი აღარ არის ტროტუარებზე, მაგრამ ჩვენთვის, საგარეჯოელებისათვის მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ქვეითადმოსიარულეთათვის ყოფილი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტროტუარების გადატვირთვა გარემოვაჭრეებითა და მათი კუთვნილი ავტომობილებით. ე.წ. „ბაზრის“ შუა ქუჩაში განთავსება მართლაც არაესთეტიკური და არაჰიგიენურია. ჭირს ბანკების წინ ტროტუარებზე გაჩერებული და მოძრავი ავტომობილებისათვის გვერდის ავლაც.

– უახლოეს მომავალში დაიწყება ქალაქის თამარ მეფის ქუჩის მოწესრიგება, სადაც გადავიტანთ ე.წ. აგრარულ ბაზარს. აქ გამოიყოფა ადგილი გარემოვაჭრეების განსათავსებლად. მდინარე თვალთხევის მარცხენა სანაპიროზე, თამარ მეფის ქუჩაზე მოხდება კედლის ამაღლება, აქ განთავსდება მოვაჭრეთათვის დახლები, ე.წ. ფარდულები. მომხმარებელსაც და მოვაჭრესაც გაუადვილდება იქ მისვლა, აღარ იქნება ავტომანქანებისგან შექმნილი ხელოვნური საცობები ლესელიძისა და ერეკლე II-ის გადაკვეთაზე და ქვეითადმოსიარულეებსაც საშუალება ექნებათ თავისუფლად ისარგებლონ კეთილმოწყობილი ტროტუარით.

სოფლის კრება სათაფლე

სოფლის კრება სათაფლე

– მოგეხსენებათ, ბოლო წლებში განსაკუთრებით გამწვავდა სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება-მიწოდების საკითხი. მავანი ამას წყლის დეფიციტის ბუნებრივად დაკლებით ხსნის მავანი მოძველებული, ალაგ-ალაგ შესაკეთებული წყლის მაგისტრალებით.

– არ ახალია, თუ ვიტყვით, რომ თვითონ მოსახლეობაც უყაირათოდ ექცევა სასმელ წყალს. დავიწყოთ იქიდან, რომ წლების განმავლობაში უმოწყალოდ გაიჩეხა ტყეები, რამაც წყლის დეფიციტის შემცირება გამოიწვია. სოფლებში, ცალკეულ უბნებში დაყენებულია საუბნო ონკანები, რომლებიც მოშვებულია და წყალი უსარგებლოდ იღვრება, ან ოჯახებს უნებართვოდ აქვთ შეყვანილი სახლებში. ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა ასეთებს გაუუქმა თვითნებური გაყვანილობა და აუკრძალა კანონიერად, მაგრამ... მიმდინარე წელს დაიწყება ქ. საგარეჯოში სასმელი წყლის ახალი გაყვანილობის სამუშაოები, მოსაწყობია სასმელი წყლის ჭაბურღილები. ასე, მაგალითად, დღის წესრიგში მწვავედ დგას სოფელ წყაროსთავში და ე.წ. „აჭარლების უბანში“ ჭაბურღილის მოწყობის საკითხი. განსაკუთრებულ მზრუნველობას ითხოვს ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე-ნაგებობების რეზერვუარების შიდასაუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა და რეცხვა-დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებებით, რათა თავიდან ავიცილოთ წლის ყველა დროისათვის დამახასიათებელი ინფექციური დაავადებები.

– აგრარული სექტორის განვითარებისათვის ქვეყნის მთავრობა და ხელისუფლება ფერმერსა და გლეხს მრავალ პროგრამას სთავაზობს. ამას მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებში დახმარების პროგრამა, კოოპერატივებისათვის ხელისშემწყობი გრანტები, სესხები, კრედიტებიც მოწმობს. თქვენ რას ფიქრობთ, მეტი ყურადღება სოფლის მეურნეობის რომელ დარგს უნდა დაეთმოს ჩვენთან?

– დამეთანხმებით, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაა ჩვენთან შესაძლებელი, ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველანაირად ამოვუდგებით მხარში ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვას,. ბოლო პერიოდში ინტერესი დიდია მეფუტკრეობის განვითარებისათვის, რასაც ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ.

– საგარეჯოში, ე.წ. რკინიგზის დასახლებაში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც 100 წელზე მეტი ხნის ავარიულ შენობაშია განთავსებული, თანაც ის შენობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ არის . 2012 წელს არჩევნებისათვის დაიწყო სხვა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შენობა ბევრად უკეთეს ადგილასაცაა და ფართიც კარგია, მაგრამ მას შემდეგ იმ შენობას თუ არ მოაკლდა რამე, არაფერი მიმატებია...

– სწორედ ამ რეაბილიტაციადაწყებული შენობისა და ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი მანავის სკოლამდელი აღზრდის მეორე დაწესებულების შენობების რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. ამასთან, სოფლების ასეთ დაწესებულებებში ჩვენ ერთხელ უკვე შევიტანეთ ავეჯი, ინვენტარი და კიდევ შევიტანთ ავეჯს, ინვენტარს.

გვაძვს სხვა პრიორიტეტული საკითხებიც. კონკრეტულად, მიმდინარე წელს პრიორიტეტულ საკითხადაა მიჩნეული სკოლის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ხელშეწყობა და მათი მხატვრულ-შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, მნიშვნელოვანია არაქართული მოსახლეობისათვის ქართული ენის შესწავლის საქმეც.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად ხელი უნდა შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულად გაგრძელებას. საამისოდ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა განაგრძობს კულტურული ობიექტებისა და სპორტული სექციების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და მათი მომზადებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, მათ წახალისებას.

დღის წესრიგში მთელი სერიოზულობით დგას საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის ხელისშეწყობის საკითხი. კვლავაც ჩატარდება ის ღონისძიებები (ტრენინგები, სემინარები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი საგანმანათლებლო კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები). ახალგაზრდების აქტიურად ჩაბმა ასეთი სახის ღონისძიებებში ხელს შეუწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებას, ხოლო ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში ლაშქრობების, ექსკურსიების, სპორტულ შეჯიბრებებში მათი მონაწილეობა მათ ცხოვრებას მეტ ხალისს შემატებს.

პრიორიტეტულ საკითხთა შორისაა, ასევე ჯანდაცვის, სოციალური, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება.

ამ საკითხზე „გარეჯის მაცნეს“ წინა ნომრის საშუალებით ვრცელი ინფორმაცია მიეწოდა მოსახლეობას.

ინფრასტრუქტურა–2015

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა კვლავ გრძელდება გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები

წლებია გრძელდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტები მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის განხორციელებამ სოფლის მოსახლეობას ისეთი პრობლემები უნდა მოუხსნას, როგორიცაა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისა და სოფლების მოუწესრიგებელი შიდა გზებით გამოწვეული სიძნელეები. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს სოფლად ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

კაკაბეთი

სოფელ კაკაბეთში კი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ამოქმედებამდე თანდათანობით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით წესრიგდება სოფლის სასმელი წყლის დაზიანებული და აქამდე თითქმის უმოქმედოდ არსებული სისტემა. მოგეხსენებათ, კაკაბეთი ერთ-ერთი კომლმრავალი სოფელია, სადაც ბოლო წლებში აქაურმა მოსახლეობამ თავისი გარჯით ბევრად უკეთესად მოიწყო საყოფაცხოვრებო პირობები, რამაც მართლაც ერთ-ერთ დიდ პრობლემად სასმელი წყლის გაზრდილი მოთხოვნა დააყენა დღის წესრიგში. სოფლის ე.წ. „კუპატააძეანთ უბნის“ მოსახლეობას „საბას წყლიდან“ მიეწოდებოდა სასმელი წყალი, მაგრამ ბოლო წლებში სისტემა მოიშალა. ამასთან, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აღნიშნული სისტემიდან თვითნებურად ჰქონდა წყალი კერძო ეზოებში შეყვანილი, რის გამოც დანარჩენ მოსახლეობას აღარ ჰყოფნიდა ისედაც მცირე დებეტის მქონე წყლიდან მიწოდებული მარაგი. 400 კომლიან უბანს კი 2 საუბნო ონკანი ნამდვილად არ ჰყოფნიდა – ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა, 2 ონკანის მაგივრად 20 საუბნო ონკანი გვაქვს და თითქმის ყოველი 50 მეტრის დაცილებით, – მეუბნება ***კაკაბელი ნოდარ ნანუაშვილი,*** – ორ დღეში ერთხელ წყალი 3-4 საათიანი გრაფიკით მოდის, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ცოტაა, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, როცა მანქანებით არ დავდივართ და არ ვეძებთ წყალს. სადაც მივდიოდით, ყოველთვის მიგვქონდა წყლის ჭურჭელი – სახლში წყლის მარაგის შესავსებად. დღეის მდგომარეობით წყალი გრაფიკით მოგვეწოდება და ერთმანეთს ყველანაირად ვუწყობთ ხელს – უწყლოდ არავინ დავრჩეთ. ზაფხულის პერიოდში კი რა იქნება, ჯერჯერობით არ ვიცით, გაგვწვდება თუ არა წყლის დებეტი.

საუბარში ***კაკაბეთში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი*** **გიორგი ციქუბაძეც** ერთვება: – „დვრინის წყალი“, რომელიც 360-ზე მეტ კომლს ამარაგებს სასმელი წყლით, ერთ-ერთი საიმედო წყაროა ჩვენთვის, კაკაბელებისათვის. სისტემა, რომელიც მცოცავ ქანებში გადის, ხშირად ზიანდება, ძნელია იქ მიწის საფარის მდგრადობის შენარჩუნება. სწორედ ამის გამოა, რომ ის 360 კომლი ბოლო ხანს საერთოდ სასმელი წყლის გარეშე იყო დარჩენილი. აღნიშნული საკითხი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე დავაყენეთ და დღეს აქ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ხდება 50 მეტრი სიგრძის 200 მმ-იანი მილსადენის ამოცვლა. მანამდე კი „დვრინის წყლის“ სათავემდე მისასვლელი 6-7 კილომეტრი სიგრძის მანძილი მძიმე ტექნიკით გაკეთდა, რამაც გააადვილა მიწის სამუშაოების შესრულება, მაგრამ სოფელში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ვერ მიეწოდება სასმელი წყალი. ეს უბრალოდ იმ უბნის ადგილმდებარეობის გამო ხდება, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით იქამდე სასმელი წყლის მიწოდებას და იქაურ მოსახლეობას 500 მეტრის მანძილიდან აღარ მოუწევს ყოველდღიურად სასმელი წყლის აღება.



17 მარტს აქ სოფლის კრებას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **დავით ივანიშვილი**, ***გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების გამგე*** **ბექა ფეიქრიშვილი** და ***ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი*** **ნინო ონაშვილი** ესწრებოდნენ. სოფლის კრებაზე 38 კაკაბელი მოვიდა. მათ თავიანთი მოსაზრებები წამოაყენეს, ისაუბრეს იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ოჯახებს, დასახლებულ უბნებს და საერთოდ, კაკაბელებს აწუხებთ. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ აღნიშნა, – ამ ეტაპზე ქვეყნის თითოეულ სოფელში უნდა მოიხსნას ისეთი პრობლემები, როგორიცაა სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება, შეკეთდეს ცენტრალური გზები, მოიხრეშოს და მოწესრიგდეს საუბნო გზები. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მთელ რიგ ინფრასტრუქტურულ სფეროებს. სადღეისოდ კი კაკაბელებისათვის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებლად და პრიორიტეტული საკითხის მოსაგვარებლად 51640 ლარია გამოყოფილი. დღეს სწორედ ამ თანხის განსაკარგავად მოგიწვიეთ. თქვენ თავად დაასახელეთ და დააყენეთ ის პრობლემა, რომელიც ამ თანხის ფარგლებში შეიძლება მოგვარდეს, თუმცა, შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნულ თანხას კიდევ დაემატოს სხვა თანხა, ისე, რომ პროექტის განსახორციელებელი თანხა საბოლოო სახეს მალე მიიღებს.

ნოდარ ნანუაშვილი: – სოფლის მოსახლეობის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს დაზიანებული გზა, რომელიც სავარგულებამდე მისვლის პრობლემას მარტო ტრანსპორტით არ გვიქმნის. აქ ათეული წლების განმავლობაში სარწყავი წყლის სისტემის გაუმართაობამ ძლიერ დააზიანა გზა, გააჩინა ორმოები, დეფორმაცია განიცადა მიწის საფარმა. კაკაბელებმა ჩვენს დანაზოგს თავი მოვუყარეთ და 3 000 ლარის სამუშაოები ჩვენივე თანხით გავაკეთეთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველას არ აქვს საშუალება თანხის გაღებისა და დაახლოებით 5 000 ლარის ღირებულების სამუშაოები დაგვრჩა გასაკეთებელი. აუცილებელია სანიაღვრე არხების გაკეთებაც. ვენახებს ვენახი ემატება, ბევრმა წელს გააშენა ახალი...

მამუკა მასურაშვილი: – კაკაბეთში თუ სარწყავი სისტემა არ მოწესრიგდა, სავარგულებამდე მისასვლელი გზის გაკეთებას არავითარი აზრი არ ექნება. იქნება აბსურდი, რადგან სარწყავი სისტემის გაუმართაობა, ჩამკეტების დღევანდელი მდგომარეობა ჩვენ არასასურველ შედეგს მოგვიტანს – გზა კვლავ დაზიანდება. ადრე აქ მართალია სარწყავი წყლისთვის გაკეთებული იყო ე.წ. „რუები“, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობის კუთვნილი მიწები პრივატიზირებულ იქნა და კერძო საკუთრებაში გადავიდა, აღნიშნული ქსელის გარკვეული ნაწილი კერძო მესაკუთრეთა მფლობელობაში აღმოჩნდა, ან საერთოდ გაუქმდა. ამის გამო, სარწყავი წყალი პირდაპირ სავალ გზაზე გადადის. ამ საქმეში კი გაერთიანებული მელიორაციის სასისტემო სამმართველოს საგარეჯოს განყოფილება უნდა ჩაერთოს, მოაწესრიგონ წყლის გამშვებ-ჩამკეტი ფარები, სარწყავი წყლის სავალი გზა და შემდეგ მივხედოთ სამანქანე გზას... ამასთანავე, ე.წ. „კუპატაძეანთ უბანში“ გაითხარა გზა, ძალიან დაზიანდა გზის საფარი, ჯერ „სოკარის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების, შემდეგ კი სასმელი წყლის მილის ამოცვლის გამო. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კაკაბეთის საჯარო სკოლას არ აქვს სასმელი წყალი...

ნიკოლოზ მჭედლიშვილი: – სასმელი წყლის სათავეში ახალი წყლის „ბასეინია“ ჩასადგმელი. მოგეხსენებათ, ამ ხაზზე 400 კაცია, თუ წყალშემკრები ნორმალურად არ იქნა გაკეთებული, ძნელია ამხელა უბნების წყლით მომარაგება.

ქეთი ბიბილოშვილი, ***სოფლის ექიმი:*** – საექიმო ამბულატორიას არ აქვს გამდინარე წყალი, ისე, რომ აქ ჩვენი თანამშრომლების, ან ახლო-მახლო მეზობლებიდან შემოწვდილი წყლით ვსარგებლობთ. ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა, იქნებ როგორმე წყლის ავზი შეგვიძინოს რაიონის ხელმძღვანელობამ. ამასთან შენობა არ არის გაზიფიცირებული...

კრების მონაწილეებმა, კრებაზე დააყენეს სხვა პრობლემები, კერძოდ:

* კაკაბეთის სკოლამდელი აღზრდის №2 დაწესებულებასთან მისასვლელი გზა ერთობ პრობლემატურია – წვიმიან ამინდში აქ ტალახის და და გზის საფარის დეფორმირების გამო ტრანსპორტით მისვლაც ჭირს.

* სასაფლაომდე მისასვლელი გზაა მოსაწესრიგებელი;

* სოფლის ე.წ. „იაღანაანთ უბანში“ მცხოვრებ 25 ოჯახს სასმელი წყლისთვის ჭაბურღილის დადგმა სჭირდება.

და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ კრების მონაწილეები საბოლოოდ ერთ საკითხზე შეთანხმდნენ. კერძოდ, სოფელში უნდა მოწესრიგდეს შიდა საუბნო გზები და ზოგიერთ ადგილას სანიაღვრე არხის მოწყობაც არის საჭირო.

ვერხვიანი

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს პროექტი, რომლის ღირებულება 14720 ლარი იქნება. თუმცა აქაური გამგებლის წარმომადგენლის ნოდარ ბეგიაშვილის თქმით, აქ იმდენი პრობლემებია თავს მოჯარული, რომ ეს თანხა ერთ კონკრეტულ პრობლემასაც სრულად ვერ მოხსნის, მაგრამ, სოფლის მოსახლეობა თავად გადაწყვეტს მისთვის პრობლემად ქცეულ საკითხს.

სოფლის მცხოვრებლების: სანდრო ნანუაშვილის, მიშა ცხოვრებაძის, ელდარ კოზმანაშვილის, ნუგზარ ჭიკაძის სიტყვით გამოსვლებში ***ძირითადი პრობლემები*** გამოიკვეთა და ეს ს***ასმელი წყლის მილს შეეხება, რომლის სიგრძე 1500 მეტრია.***

დასასრული მე-5 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2015

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა კვლავ გრძელდება

გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები

ბელი ბიორბი გზირიშვილი, გამგეობის ***ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი*** **ნინო ონაშვილი** შეხვდნენ. კრებაზე მოსულებმა მთელი გულწრფელობით დააყენეს ის საკითხები, რომლებიც სოფელს აწუხებს, და რომელთა მოგვარებას აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ელოდებიან. სწორედ ამ პრობლემების გამო დაიცალა სოფელი, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც არსად აქვთ წასასვლელი, ან ამ სოფელს იქით ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. აქ არ არის: საბავშვო ბაღი, თუნდაც დაწყებითი სკოლა, მაღაზია, აფთიაქი, სამედიცინო პუნქტი (თუმცა მათ ჰყავთ პატარძეულელი ოჯახის ექიმები) და ა.შ. და ა.შ.

კრებაზე პეტრე გიქორაშვილმა, მიხეილ კაზაკოვმა, ავთანდილ გელაშვილმა და მათმა თანასოფლელებმა ისაუბრეს იმ ხელისშემშლელ მიზეზებზე, რაც მათ ყოველდღიურ საქმიანობაში ხვდებათ საკუთრებაში არსებული მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვება-დარწყულებაში.

საუბარი შეეხო სოფელში არსებულ საძოვრებს, პირუტყვისათვის არასაკმარის დასარწყულებელ წერტილებს.

ამჯერად, „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფლისათვის **5543** ლარია გამოყოფილი. კრების მონაწილეებმა დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდგ გადაწყვიტეს ეს თანხა გაიხარჯოს **სოფლის სასაფლაოს შემოსაღობად და სოფლის ცენტრალური ქუჩის გარეგანათების მოსაწყობად.**

სოფლის კრება
ვერხვიანი

სოფლის კრება
სასადილო

სოფლის კრება
ბორანა

სოფლის კრება
სასადილო

სოფლის კრება
ბორანა

<u>დასასრული</u>

როგორც მათ აღნიშნეს, სასმელი წყალი მარილს მეტი რაოდენობით შეიცავს, რაც იწვევს მილიდან მოწოდებული წყლის ფერისა და გემოს შეცვლას. საჭირო ხდება ლითონის მილი შეიცვალოს პოლიეთილენის მილით. თუმცა, როგორც გაირკვა, აღნიშნული თანხა მის მხოლოდ ნაწილობრივ შეცვლას გასწვდება, მაგრამ აქაურებს, გარდა ამისა, აწუხებთ მოსაწესრიგებელი საუბნო გზები, რომლებიც წვიმიან ამინდში პრობლემებს ქმნის.

სოფლებში სხვა პრობლემებიცაა, რომლის თანდათანობით შეძლებისდაგვარად მოგვარებასაც მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით ივანიშვილი სოფლის კრების მონაწილეთ შეპირდათ.

აი, ის პრობლემები, რომლებიც ამ პატარა სოფლის მოსახლეობას აწუხებს:

– სოფელს არა აქვს გამოყოფილი ნაგავსაყრელი;

– არ აქვთ დაწყებითი სკოლა;

– არ არის ადმინისტრაციული შენობა;

– მავთულბადითაა შემოსაღობი სტადიონი;

– მავთულბადითაა შემოსაღობი სოფლის თავში არსებული სასმელი წყლის რეზერვუარი;

– შესარემონტებელია საბავშვო ბაღი და მოსაწყობია მისი ეზო;

– უსაფრთხოების მიზნით შემოსაღობია მაღალი ძაბვის 2 ტრანსფორმატორი, რომელთაგან ერთი სოფლის ცენტრშია და ნებისმიერს შეუძლია მასში შესვლა და ელექტროენერგიის გამორთვა-ჩართვა;

– ბუნებრივი აირის გაყვანის სამუშაოებისას დაზიანდა სასმელი წყლის მილის ერთი მონაკვეთი და მოსახლეობას წყალი დიდი შეფერხებებით მიეწოდება;

– ბუნებრივი აირის გაყვანის სამუშაოებისას საუბნო გზის 2 კმ-ის სიგრძის მონაკვეთი საგრძნობლადაა დაზიანებული.

სათაფლე

23 მარტს სოფელ სათაფლეში გამართულ სოფლის კრებაზე აქაურ მოსახლეობას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგე*** **ბიორბი გზირიშვილი** ,,ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტ ნინო ონაშვილ“ ,,ინფრასტრუქტურა-2015“ ,,სოფლის მხარდაჭერის“ ,,ინფრასტრუქტურა-2015“ ,,ინფრასტრუქტურა-2015“ ,,ინფრასტრუქტურა-2015

პოეზია

გოგონა, რომელიც სიტყვას ეჭიდება

ლიკა ფარდოსან-იძე ბოგდანოვკის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეა. ლექსის წერა 4 წლის წინ დაიწყო. როცა შეფასებაზე მიდგა საქმე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ირმა მელიქიძემ ერთსტროფიან ლექსში (თავისუფალი თემა) მას 10 ქულა დაუწერა. მიუხედავად იმისა,რომ ლიკას უყვარს პოეზია და სიხარულის თუ ნაღვლის ლექსად გამოხატვა, მას საგნებიდან მაინც გეოგრაფია უყვარს, თუმცა თავად „სასიტყვეთში“ უფრო დამოგზაურობს და ეცნობა ქართულ ძარღვიან, მუხლმაგარ სიტყვებს...

ლიკამ ახლახანს ლიტერატურულ კონკურს „ამირანში“ მონაწილეობის მისაღებად საკუთარი პროზაული ნაწარმოები გაგზავნა, შედეგებს კი მაისის ბოლოსათვის ელოდება – მანამდე კი ჩვენი გაზეთის იმ ნომერს ელოდება, რომელშიც მისი ლექსები დაიბეჭდება, ასევე ელოდება მკითხველის შეფასებას...

ლიკა თავის სკოლელ ამხანაგებთან ერთად სკოლის იმ ფრენბურთელთა გუნდ „მერცხალის“ წევრია, რომელიც ორი წელია საგარეჯოში ფრენბურთელთა №1 გუნდის სახელს ინარჩუნებს.

წამი

გაჩერდი, გაჩერდა წამიც,
ფრინველმა შეწყვიტა ფრენა.
მინდოდა რაღაც მეთქვა,
აღარ მერჩოდა ენა.
სიჩუმეს ერთვოდა წვიმა,
უხმო წვეთებით სცრიდა.
თითქოს ამ დროში ზეცა
ლამაზ ღრუბლებსა ქმნიდა.
გაქარვებულსა დარდისგან
ფიქრები სულაც გამიქრა,
მოწყენილ სახეს ცრემლები
მალე უკვალოდ გამიქრა.
დარდს ჩაყოლილი გული
თითქოს მიენდო გონებას.
თითქოს ტანჯული ფიქრები
მან გაატანა ცხოვრებას...

მზე და მუნჯი

ფრთხილად გააღვიძეს სხივებმა
დაღლილი.
ჭინკები მის ირგვლივ აცეკვდნენ
ხალისით.
მზერა დაქანცული ლურჯ სივრცეს
მიაპყრო,
ცის ოქრო, გამდნარი, მოწვიმდა თავისით.
მიწას ელვრებოდა სინათლე კაშკაშა.
ათასფრად მოირთვნენ ფრიალა ქიმები.
უნდოდა ემღერა ამაზე მათხოვარს,
მაგრამ მის ხმასუსტ ქნარს არ
ჰქონდა სიმები.
ჭადი ბრდღვიალებდა ჩახჩახა ნათურით.
მის გულზე ზანტად
იცოხნიდნენ ღრუბლები.
თითქოს ცის მეუფეს დარბაზი გაეღო.
შიგ ოქროს ზოდებად ბრწყინავდნენ
სტუმრები.
და კითხვანაპკური ციური სიმღერა
ოქროს მავთულებად როცა გაიჭიმა.
მზის საგალობელი სიტყვაც არ
დაუძრავს,
ის მუნჯი იყო და... მაინც გაიღიმა.

***

ნუთუ სამყაროს ამ ვარდისფერს
ოცნება ჰქვია
იქნებ ოდესღაც ხელი ვკარი ჩემთვის
განკუთვნილს,
ნუთუ შენ უკვე...
ჰო, შენც უკვე ნაცნობი გქვია.

პაატა ქოქიაური

***

ფიქრით მოვყვე-
ბი ქუჩის ნაპირებს,
ცა მოიღრუბლა,
წვიმას აპირებს.
შეგხვდები სადმე
დაღლილი სულით,
ხომ გამიღიმებ
ფაქიზი გულით?!

***

ცას თუ უეცრად
გადაეკვრება
შავი ღრუბელი,
ნუ შეშინდები.
ქარი გავხდები
და მაშინათვე
შენთან გავჩნდები,
შენთან გავჩნდები!
ღრუბელს გავფანტავ,
მზეს გამოვაჩენ
ჩემო ლამაზო,
ჩაგეკვრები და
შენი გავხდები!

***

გევედრები, გევედრები, მიხსენ,
ნუ დამტოვებ, ნუ დამტოვებ მარტო.
ალიონზე ვეგებები ცისკარს,
ახლოს ხარ და უფრო ახლოს გნატრობ.

***

მწუხრის პირი ჩამოაწვა ღრუბელს,
დამინამა მოსასვლელი გზები,
ისევ შენ ერთს გიერთგულებ, კარგო,
შენი ვარ და ისევ შენთან ვრჩები.

გაზაფხული

გაზაფხულის მზე
მარტის სიცივეს
დუელში იწვევს.
ბუჩქის ძირებში
ყოჩივარდები
ფერხულს ცეკვავენ.
ხარირემი კი
გაგიჟებული
ფურისკენ იწევს,
ატმის ხეები
კვირტებს რტოებზე
წითლად ჰბერავენ.

***

ლამაზი ფიქრები,
ფერადი სიზმრები,
ქოთანში ჩარგული
პრანჭია გვიმრები.

პოეზია

ვიპოვე რითმები,
მოჰყვება რიტმები,
ყვავილებს მოგიტან,
შენს გვერდით ვიქნები.

***

გაზაფხულობით
ფშატის ხეები
იცმევენ კაბას.
ნიავი დაჰქრის,
ხეთა მიჯნური
გვიყვება ამბავს.
ხეთა მიჯნური
გვიყვება ამბავს.
მე შენკენ ვილტვი,
შენ კი გამირბი,
აჰყვები საბას,
გახსოვს ძვირფასო?!
შარშან ორივე
ვცეკვავდით სამბას.

***

ფრთებით გაშლილი
ოცნების ზღვა ხარ.
ვის შეგადარო?!
არავის გავხარ!
თავდავიწყებით
ლექსს დავწერ ფრაზად,
გეალერსები
და გკოცნი ნაზად.

მარტი

მოვიდა მარტი
მწვანე ფერებით.
გაგვიღო კარი
თავის მშვენებით.
აღარ აცალა
იების ხვევნას,
აღარც გონების ზეცისკენ ფრენას.
შემოიპარა, დაგვიდო სითბო.
მე შენი ცქერით
ხელებსაც ვითბობ.
განა რამე სჯობს
მარტის სიდინჯეს?!
უცბად ბავშვივით
თავს რომ იგიჟებს.

ნინო ბუზარიაშვილი – *საგარეჯოს მესამე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე*

ნინო ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია – ხან ლექსებით გვანებივრებს, ზოგჯერ ჩანახატებსაც შემოგვთავაზებს...

***

ღამეა და დრო ისევ აგრძელებს აბეზარობას... მოსაწყენია მარტოდ მარტო ქალაქში ყოფნა... მხოლოდ ბეღურებს შეუძლიათ ჩემი წაყვანა იმ ცის კიდემდე, რასაც ჰქვია უსასრულობა...

***

მე ვიგრძენი ხალხის ყალბი ღიმილი და გამოვერიდე ქალაქს, სადაც სპექტაკლია ურეჟისორო. ყველა თავის როლს ასრულებს ამ ღამეს, მაგრამ არავინ არ იცის ვის როდის ამოიღებენ როლიდან .... ყალბია ყველაფერი! მხოლოდ ოცნებებს და წარმოსახვას შეუძლია დაგვიხატოს ძუნწი ტყუილი . ქალაქში ისევ მე ვრჩები მარტოოო, ვცდილობ მოვძებნოოო ვინმე ამ ღამით, ამაო არის მოძებნა მგზავრის, რადგან ღამეა და ყველას სძინავს, რატომ?! არ ვიცი, დავსვამდი კითხვას. ძილისთვის დრო, ხომ უაზროდ გადის სიცოცხლეს მიეც ძილის წამებიც, რადგან გაყინულს უცოცხლო გულსაც სიბნელე ელის, უკუნი ძილი !

***

ღრუბლები აღარ ჩანან
ციდან აიკარგნენ,
ნეტავ სად წავიდნენ ?
ისევ დაიკარგნენ ?!
მთებსღა შერჩენიათ მწვანე შემოდგომა,
ხეებს რაღაც უჭირთ, ისევ მზეს ელიან...
მე კი სიჩუმესღა ვისმენ ამ ღამეში,
იქნებ ეს ღრუბლები მაღლა მე მელიან...
მთვარეს ვეღარ ვხედავ,ბინდმა გადაფარა,
უკვე რვა გამხდარა, სევდა აღარაა,
ბინდმა მოგონებას სუსხი დააფარა.
სევდამ თვალებიდან ცრემლი მომაფარა,
მთვარე ამ ღამეში ისევ იმალება,
ისევ მგონია, რომ ღრუბლებს ეფერება,
მე კი სიჩუმესღა ვუსმენ მარტოდმარტო,
მხოლოდ მოგონება თავზე მეფერება.
ისევ იკარგება ცაში ეს ღრუბელი,
ისევ ხეებს უჩანთ სახის დაღონება,
თურმე ღამდებოდა.. მე კი ვერ ვიკვლიე,
ღრუბლებს გავატანე ჩემი მოგონება.

***

უფოთლო ხესავით ამ ღამეს ისევ მარტო ვარ და ვტირი. ვტირი, რადგან ამ ტოტებზე მყავდნენ დაკიდებული ფოთლები, ვინც მე მიყვარდა. დამტოვეს მარტო და თვითონ დაბლა, დედამიწის ზედაპირისკენ დაეცნენ და დაიმარხნენ. მთვარეც უეცრად მოკაშკაშე ჩრდილმა დაფარა, არც ის მანათებს ამ მანქანებით გაცვეთილ გზებს. მე კი უაზროდ და უნებურად მივყვები ქუჩებს და ვიკარგები ამ ჩემს ქალაქში, სადაც არავინაა სიჩუმისა და სულების მეტი. სიგიჟის ზღვარზე იმყოფება თურმე ქალაქი და სანამ იწყებს გაგიჟებას მოდი, ვუფრთხილდეთ, რადგან კედლებსაც შეუძლიათ ატანა სევდის !

მართლმადიდებლობა

იესოს ლოცვა

„სულიერი ცხოვრება უმეტესწილად ლოცვის ხელოვნებაა. ლოცვა ღმერთთან გამუდმებული სუფევაა, მოუკლებული წყარო ნათელი სიხარულისა... იესოს ლოცვა კი უზენაესი საქმეა კაცისა:

– როგორ მოქმედებს იესოს ლოცვა?

– როცა ძე ღვთისას სახელზე ვლაპარაკობთ, მის ღვთაებრივ ქმედებებზე ვსაუბრობთ, მაშინ იესო ქრისტეს სახელში მთელი წმინდა სამება მოქმედებს. ძე მიუტევებს და აცხოვნებს, სული წმინდას მამა აკურთხევს. სული წმინდას მოქმედებით შეიმეცნება ძე, ძეში კი მამა გაცხადდება.

– რა არის აუცილებელი იესოს ლოცვისას?

– რწმენა იმისა, რომ იესო შენი მაცხოვარია, სინანული, რომელიც მადლს გულში მოქმედებისათვის ადგილს აძლევს, რომ სოფლისა მძლეველი სახელი იესო ქრისტესი შენს გულში სძლევს დემონს. ლოცვისათვის შრომა და მოთმინებაა აუცილებელი, რწმენა ლოცვის მეშვეობით იმედში გადადის, იმედი სიყვარულში, სიყვარული მწვერვალია. შრომა და სინანული – საფუძველი. იესოს ლოცვის სიტყვები – ეს ქვებია სულიერი შენობისა, როდის გასრულდება სამუშაო, ადამიანმა არ იცის, მაგრამ თუკი თავის მიწიერ ცხოვრებაში ვერ გაასრულებს მას, დანაკლისს თვით უფალი შეავსებს.

– რა იგულისხმება „დანაკლისს თვით უფალი შეავსებს?“

– ლოცვის მიზანი – ეს შეხამებაა გულისა იესო ქრისტეს სახელთან. თუკი ადამიანმა უწყვეტ ლოცვას ამქვეყნიურ ცხოვრებაში ვერ მიაღწია, მაგრამ გამუდმებით ცდილობდა ამას, უფალი სიკვდილის ჟამს ფრთების მსგავს ლოცვას მიჰმადლის, რომლითაც სული ცად აიჭრება, საერთოდ კი უწყვეტი გულისხმიერი ლოცვა სწორედ ის დიდი განძია, რომელიც დიდი შრომით მოიპოვება.

– და რა შრომაა ეს?

– ეს არა მხოლოდ გამეორებაა ლოცვისა, მთელი ცხოვრების დაქვემდებარებაა მისდამი. რასაც უნდა აკეთებდეს ადამიანი, ისე უნდა აკეთოს, თითქოს ლოცვისათვის ემზადება. თუკი ადამიანი თავის ცხოვრებას ლოცვას არ დაუქვემდებარებს, მაშინ, მიუხედავად შრომისა, ლოცვა გარეგნული დარჩება, გული გაორებული, გონება ლოცვის სიტყვებისგან გამუდმებით უკუქცეული, მაშინ შესაძლოა სხვა რამ მოხდეს: სიკვდილის წინ აჯანყდებიან ვნებები, რომლებიც მის სულში ბუდობენ და ლოცვას ჩააქრობენ, როგორც ქარი ახშობს სანთელს, სული ქრისტეს სახელის დამკარგავი წავა მარადისობაში.

– რას იძენს ლოცვისგან ადამიანი ამ ცხოვრებაში?

– სიმშვიდეს და სიხარულს. ცოდვა სულს სიმწარითა და გამუდმებული მოუსვენრობით ავსებს. ღვთის მადლი ამღვრეულ სულს სიმშვიდეს ანიჭებს. გარეგნულს არ ძალუძს მისცეს ადამიანს ბედნიერება, თუკი მის სულში აყოლებული ორმოა, გულში აღსრულებული ლოცვა კი პირიქით, ღატაკ ქოხს სასახლედ აქცევს.

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

(იბეჭდება შემოკლებით)

ერთი კაცი სამკურნალოში მივიდა და მკურნალს ჰკითხა:

– არის რაიმე ისეთი ბალახი, რომელიც კაცს სულიერი ავადმყოფობისგან, ანუ ცოდვისგან განკურნავს?

– არის, – მიუგო მკურნალმა, – მიდი და აიღე მორჩილების და სიმართლის ძირი, სულიერი და ხორციელი სიწმინდის ფოთლები და ყვავილი, კეთილთა საქმეთა ნაყოფი და დანაყე შემუსვრილი გულის ჭურჭელში, გაცერი გულისხმის-ყოფის საცერში, დაასხი ვედრების ჭურჭელში; მერე თავი შენი აღანთე ღმრთის სიყვარულით, ჩადევ ქურაში თავმდაბლობა და დაამარილე ძმათამოყვარეობის მარილით, გაშალე უხვი ხელი შენი ქველმოქმედებისთვის, რომელსაც იქმოდი ფარულად, და როცა ყველა ამათ სარწმუნოების და ღვთის მადლის ცეცხლით შეამზადებ, გამოიყენე შენდა სასარგებლოდ და განიკურნები...

მარხვა

მარხვას, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით, თავისებური სიხარული და სიმსუბუქეც სდევს თან, სულიერ ზრდასთან ერთად კი ეს სიხარული უფრო და უფრო მეტად შემოდის ჩვენს არსებაში. სულიერი განვითარების მხრივ წინაპრებს უთუოდ ჩამოვრჩებით. მათთვის ჩვეულებრივი რამ იყო მარხვის სიხარული, ჩვენთან კი ეს ასე ადარ იგრძნობა. სულიერი განვითარების კვალდაკვალ, მარხვა შინაგან ჭმუნვას, დაძაბულობას კი აღარ უკავშირდება, არამედ პოზიტიური განცდა მოაქვს.

***

როგორ უნდა ვიმარხულოთ? წმინდა მამები წერენ: „სხეულსაც უნდა მივცეთ იმის შეგნება, რომ მანაც შესცოდა“. მარხვა ადამიანის სულის აღდგომით გაცოცხლების იარაღია. უფალმა ხელში მოგვცა უდიდესი ძალა და თუ სწორედ გამოვიყენებთ, ვცხონდებით. მარხვა სოლიდარობის ნიშანი – ეს პირველი მიზეზი, მეორე – ეს სჭირდება სულს, რომ სხეულზე დამოკიდებული არ გავხდეთ. მარხვა არის დრო მორჩილებისა. მესამე – მძიმე საკვებისაგან თავშეკავება. სუფრიდან ისე უნდა ავდგეთ, რომ ლოცვის სურვილი გვქონდეს. წმინდა მამები განსაკუთრებულ შემთხვევებში გვირჩევდნენ: „ყველაფერი ჭამე, ოღონდ ადამიანი არა“... კანიბალიზმისგან გვიწევს ყველაზე მეტად თავშეკავება. რამდენიმე წელია სამარხვო კერძები მომრავლდა და ვერ გაარჩევ, რისგან უნდა დაიცვა თავი – სამარხვო კერძებისგან თუ ხორცისგან. სამარხვო კერძი უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე ხორცი. წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „დაითვალე, რა ღირს შენი მოკრძალებული საკვები, როდესაც ხორცის გარეშე ტრაპეზობ და დანაზოგი მიეცი ღარიბებს“, – ეს არის მარხვა. არა მხოლოდ ღვთის სიყვარული, მოყვასის სიყვარულიც დაგვედო ანდერძად. ქრისტიანის მარხვა საფუძველს იღებს ქრისტედან და ძველი აღთქმის სიწმინდედან. ქრისტიანისათვის წმინდა და უწმინდური საკვები არ არსებობს, როგორც ეს იყო ძველ აღთქმაში; ამიტომ გათვალისწინებულია ადამიანის ორგანიზმზე საკვების ზემოქმედების გამოცდილება. მკაცრ მარხვად ითვლება უთევზო საკვები. დომინიკელი ბერი არქანჯელო ლამბერტი „კოლხეთის აღწერილობაში“ წერს: „მეგრელები ბერძნულ ჩვეულებას მისდევენ, დიდ მარხვას ძალიან მკაცრად იცავენ, თევზსაც კი არ ჭამენ! და საერთოდ დღეში ერთხელ ჭამენ, მზის ჩასვლისას. ისე მტკიცედ იცავენ მარხვის წესს, რომ რაც უნდა ავადმყოფნი, მოხუცებულნი და უძლურნი იყვნენ, არავითარ შემთხვევაში ამ დროისათვის ხორცს არ შეჭამენ, ზოგიერთები პარასკეობით საერთოდ იკავებენ თავს საკვებისაგან: ბოლო კვირაში ღვინოს არ სვამენ, ბოლო სამ დღეს კი არავითარ საკვებს არ იღებენ“.

ქართველი ქალები წინა საუკუნეებში

წიგნიდან „დაუმორჩილებელი ამორძალები“

ფრიად საშიში იყო ქართველი ქალის გაჯავრება. შურისმაძიებლები იყვნენ გურჯი ხათუნები. შაჰ-აბას I-მა ეჭვის ნიადაგზე მოაკვლევინა საკუთარი შვილი – ქართველი ქალის, ლელა ბაგრატიონის ნაშობი, სახე დაუმახინჯა გაშმაგებულმა დედამ შაჰს, ახრჩობდა, რომ არ გამოეგლიჯათ ხელიდან.

დიახ,საშიში იყო ქართველი ქალი,ამიტომ ადარებდნენ ჯიქს, ვეფხვს აღმოსავლელი პოეტები. თუ ძალზე ცუდად მოექცეოდნენ, საწამლავი ხომ იშოვებოდა? მრავალ ხანს და ფაშას გაუჭიმია ფეხი მოულოდნელად. მზის სადარ გურჯ ხათუნს სიკვდილის სუნი უდიოდა. უნდა გავუგოთ ამორძალებს. ჰარემში მოხვედრა რუსთველისეული სიყვარულით როდი ხდებოდა. ანდა, განა არსებობდა ჰარემში სიყვარული? მამლუქთა ოჯახები იყო მხოლოდ შედარებით მტკიცე. ძალიან ხშირად სხვა ცოლები არც მოჰყავდათ, ქართველი ქალით კმაყოფილდებოდნენ. დამარცხებული მეომრის ცოლები გამარჯვებულის ცოლები ხდებოდნენ. შეიძლებოდა აქ სიყვარული?

იყო ასეც: შაჰ-აბას I-ს **ჩაილუჩელი გლეხის გოგო** აჩუქეს. ოქრომკედით ნაკერ ატლასებში გამოაწყვეს. შაჰის „საცოლეს“ ოქროს საწოლი დაუდგეს, უძვირფასესი ხალიჩებით მოქარგული დარბაზი გამოუყვეს, ოქროს მაშიები ჩააცვეს. ტიროდა მაინც გოგო. აღტაცებული შემოვიდა 60 წელს მიტანებული შაჰი. „ვაი, შენ ჩემო ჩაილურის ჩალაო“, – წამოიყვირა ბავშვმა, მძულვარედ მოიშორა მამაკაცი. ღარიბი მშობლები ჰყავდა გოგოს, ქვეშაგები ბუმბულით და მატყლით კი არა, ჩალით ჰქონდათ გატენილი. გაცოფდა შაჰ-აბას I. „მსოფლიოს მბრძანებლის ცოლი ხდები, ჩაილურის ჩალას როგორ მისტირიო“. კახელი იყო გოგო, კახურად უთხრა: „მიმიფურთხებია შენი წილი მსოფლიოსათვის, ჩაილურის ჩალად არ მიღირს ირანის დედოფლის გვირგვინი“. ქურციკივით გოგო იყო, ავაზასავით მოქნილი და ღონიერი. ისეთი სიშმაგით ჩაარტყა ფეხი „მზის წნულში“, მთელი წლით მაინც დაუკარგა ირანის ლომს ქალისკენ გახედვის სურვილი. ვაი, ჩვენო დაუცველო სიამაყევ, ვაი, ჩვენო გასრესილო ღირსებავ! მახვილებზე წამოაგეს 13 წლის ბავშვი „ალაჰის სწორის“ შეურაცხყოფისათვის.

გამოეცალა მორიელთა ბუნაგს მისი სპეტაკი სული, მშობლიურ მთებს მიაშურა. ჩაილურის წყალი დაშრაო გოგონას დარდით, – ამბობს ლეგენდა.

ყაჩაღი ჩონჩოლ-მუსა დიდხანს არბევდა საქართველოს. ეშმაკურად იქცეოდა: ზოგჯერ მოყვრულად მოდიოდა, თითქოს შემწედ. 1766 წელს მან „უშველა“ გაჭირვებაში ჩავარდნილ სოლომონ I-ს. დახმარებისთვის დიდი თანხა მოითხოვა. ვერ გადაიხადა მეფემ ფული. მაშინ სამსახურის საფასურში ჩონჩოლ-მუსამ საწერეთლო მოარბია. არეული იყო იმერეთი. სოლომონ I იმჟამად ძალას იკრებდა მხოლოდ. უძლურმა ისდა მოახერხა, ერეკლე II-ს აცნობა მომხდარი ამბავი. ჩაუსაფრდნენ ქართველები აბრაგს, ამოწყვიტეს, ტყვეები იმერეთში დააბრუნეს. შეიპყრეს ჩონჩოლ-მუსა. პატიება არ შეიძლებოდა. აღმართეს სახრჩობელა მეფის მოედანზე, მეტეხის ხიდის ყურესთან. გადმოხედა თავშეყრილ ხალხს ავაზაკმა: „რა გიხარიათ გურჯებო, 67 წლისა ვარ, 50 წელი გარბევთ, 20000 ტყვე გამიყვანია“. გაშრა მოედანი, გამწვანდა ერეკლე II, სამეფო წამოსასხამი მოიხადა, ფეხით შედგა. „მე ვარ დამნაშავე, მე ვერ ვუვლი ჩემს ხალხსო“, დაამშვიდეს მეფე, გაიყვანეს მოედნიდან.

პირველი ქიზიყის მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი მოეგო გონს. მარცხენა ხელით თოკი გაუხსნა ჩონჩოლ-მუსას, მარჯვენათი სატევარი აძგერა ბაგეში – ავყია ენის ნაფლეთებმა კეფიდან გამოატანა. ასე დაკლეს ყველაზე დიდი მეკობრე... მაგრამ მხოლოდ ერთ წელს, 1755 წელს ქართლ-კახეთს 48-ჯერ დაესხა დაახლოებით 40000 მოთარეშე.

საჩუქრები იორმუღანლოელ პატარებს

სასიხარულო და სიურპრიზებით სავსე დღე გაუთენდათ მიმდინარე წლის 6 მარტს ლამბალოს ალტერნატიული ბაღის (მენეჯერი თეა გურგენიძე) აღსაზრდელებს. ამ დღეს მათ სტუმრად ეწვივნენ საქველმოქმედო ორგანიზაცია „კეთილი სამარიტელის“ წარმომადგენლები, რომელთაც ბაღის 28 ბავშვს დახურული ყუთებით გადასცეს სხვადასხვა საჩუქრები. საჩუქრები ინდივიდუალურად განაწილდა, ვის საწერი ნივთები, ვის რვეულები, სათამაშოები, პირადი ჰიგიენის საგნები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შეხვდა. საჩუქრების გადაცემასთან ერთად სტუმრები დაინტერესდნენ პატარა აზერბაიჯანელების სწავლა-აღზრდის საქმით.

შეხვედრას „კეთილი სამარიტელის“ წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ კაკაბეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერი მაყვალა მეურმიშვილი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები სოფელ ლამბალოს მცხოვრები კაზამფარ მამედოვი, თულარის დეპუტატი ბადრიხან ხეირხაბაროვი და სოფელ ლამბალოს ყოფილი რწმუნებული მუბარიზ მამედოვი, რომლის უშუალო ინიციატივითა და ხელშეწყობით აღნიშნული ბაღი გაიხსნა.

შეხვედრის დასასრულს ბაღის აღსაზრდელები ტრადიციული აზერბაიჯანული ჩაითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს.

ბ. დაბახიშვილი

ლევან მატიაშვილი – თბილისის გრან-პრის გამარჯვებული

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა ძიუდოში ტრადიციული გრან-პრის გათამაშება, სადაც პირველობისა და ამ საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად მსოფლიოს 45 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის საქართველოს დირსებას სხვა ქართველ ფალავნებთან ერთად იცავდა ჩვენი სახელოვანი პატარძეულელი ძიუდოისტის გივი ონაშვილის შვილიშვილი, ჩვენი თანაქალაქელი, მძიმე წონაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ფავორიტი და რეიტინგით მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ძიუდოისტი **ლევან მატიაშვილი**.

სახელოვანი პაპის სახელოვანმა შვილიშვილმა ამ ასპარეზობაში მაქსიმალურად გაამართლა ძიუდოს ქართველი გულშემატკივრების იმედი. ხუთი შეხვედრიდან 3 წმინდა მოგებით – იპონით დაასრულა. ორთაბრძოლებში მან ჩვეული ოსტატობით დაამარცხა ყაზახი რუსლან ამდრაზაკოვი, რუსი კამბიევი, უკრაინელი გორდიენკო, ფინალში კი დამაჯერებლად დაჯაბნა თანაგუნდელი, მსოფლიოში ასევე აღიარებული ფალავანი ადამ ოქრუაშვილი.

ჩვენს სახელოვან ძიუდოისტს ვულოცავთ თბილისის გრან-პრის მოპოვებას და ვუსურვებთ მომავალშიც კვლავ ესახელებინოს ჩვენი ქვეყანა ახალ-ახალი წარმატებებით.

თავისუფალი ჭიდაობა

ზურაბ ერბოწონაშვილი ევროპის ჩემპიონია

24 მარტი კიდევ ერთი დიდი წარმატების დღედ ჩაიწერება ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავე **ზურაბ ერბოწონაშვილის** სპორტულ კარიერაში. პოლონეთის ქალაქ ვალბრიზში ჩატარებულ ევროპის 23 წლამდელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატში მწვრთნელ რამაზ ასაბაშვილის აღზრდილმა 74 კგ წონით კატეგორიაში არავის დაუთმო პირველობა და საქართველოს ნაკრებიდან პირველმა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს დროშა ააფრიალებინა.

იოლი არ ყოფილა ჩვენი ფალავნისათვის ევროპის ჩემპიონობისა და ოქროს მედლისაკენ მიმავალი გზა, თუმცა შეძლო დაძაბულ პაექრობაში კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა თავისუფალი სტილის გარეჯული სკოლის ტრადიციები. პირველ შეხვედრაში დამაჯერებელი ანგარიშით დამაჯერებლად დაამარცხა მოლდოველი იონ კასილაჩი, მეორე შეხვედრაში გერმანელი კუბელაი ჩაჩიკი (10:0-ზე), თურქი მურატ ერთურქი (10:0), ფინალში კი სომეხი არამ გრიგორიანი და ამ ყველაფრისათვის ნანატრ ტიტულს დაეუფლა.

ჩვენს ევროპის ახალ ჩემპიონს ვულოცავთ საპატიო ტიტულსა და ჯილდოს; დაე, მომავალში კვლავაც ესახელებინოს საქართველო და მშობლიური კუთხე თავისი ახალ-ახალი წარმატებებით.

რინგის ოსტატების პერსპექტივები

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელობის ხელშეწყობით საგარეჯოში ფუნქციონირება დაიწყო კრივის შემსწავლელმა გუნდმა, მაგრამ მწვრთნელ ზურაბ იმნაძისა და მისი აღსაზრდელების ძალისხმევით, რინგის პატარა გარეჯელმა ოსტატებმა უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა ქართული კრივის ისტორიაში. ჩვენებურმა „ბოქსიორებმა“ წარმატებით დაიწყეს მიმდინარე წელიც. 26-30 იანვარს ახალქალაქში ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე ახალგაზრდებს შორის 64 კგ წონით კატეგორიაში უშედავათო ორთაბრძოლებში III ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა საგარეჯოს II საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე გიორგი კოხტაშვილმა.

9-13 მარტს კი ჭაბუკებს შორის ქ. გურჯაანში ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე კრივში IV ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ამავე სკოლის X კლასის მოსწავლემ ლუკა ლეჟავამ (60 კგ. წონითი კატეგორია).

80 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა კაკაბეთის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე რომან ფილაურმა.

როგორც ჩვენთან საუბარში კრივის მწვრთნელმა ზურაბ იმნაძემ აღნიშნა, წელს შემოდგომაზე ტარდება ევროპის პირველობა კრივში ახალგაზრდებს შორის, სადაც მონაწილეობის პერსპექტივა საგარეჯოელ მოკრივეებსაც გაუჩნდათ. კერძოდ, მწვრთნელმა მოიპოვა უფლება – გიორგი კოხტაშვილმა მონაწილეობა მიიღოს საკონტროლო შეხვედრაში, სადაც გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებური მოკრივე გაემგზავრება ევროპის პირველობაზე.

წელს ასევე ტარდება ევროპის და მსოფლიო პირველობები კრივში ჭაბუკებს შორის. ამ შემთხვევაშიც ზურაბ იმნაძეს მისცეს უფლება საკონტროლო შეხვედრაზე დააყენოს ჩვენი მძიმეწონოსანი რომან ფილაური, რომელიც მოგების შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ ასპარეზობაში.

როგორც ზურაბ იმნაძემ აღნიშნა, ახლა მისი აღსაზრდელები გულდასმით ემზადებიან აღნიშნული პერსპექტივების ხორცშესასხმელად. ყოველ კვირას თითო საკონტროლო ბრძოლას ატარებენ თბილისის სხვადასხვა კლუბების მოკრივეებთან და სასურველია ამ რთული მომზადების პროცესში თუ დახმარებას აიპ-სა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გაუწევენ.

ჭადრაკი

კახეთის რეგიონული პირველობის გარეჯელი ჩემპიონი და პრიზიორები

21-22 თებერვალს სიღნაღში ჩატარდა კახეთის რეგიონული ჩემპიონატი ჭადრაკში 10 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონათა შორის.

ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ნორჩმა საგარეჯოელმა მოჭადრაკეებმა. 10 წლიანთა შორის კახეთის ჩემპიონი გახდა მწვრთნელ ელენე ფარეშიშვილის აღსაზრდელი ლევან დალბაშვილი. 8 წლიანთა შორის მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ზუკა გამრეკელაშვილი (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე), მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გიგი ივანელაშვილმა (მწვრთნ. ელ. ფარეშიშვილი).

თელავის 8-12 წლიანთა ჩემპიონატზე

14-15 მარტს კი თელავმა უმასპინძლა კახეთის მორიგ ჩემპიონატს ჭადრაკში 8-12 წლიანთა შორის, რომელშიც ნორჩი საგარეჯოელი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ. 8 წლიანებში ყველა შეხვედრა მოიგო და კახეთის ჩემპიონობა იზეიმა ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელმა ზუკა გამრეკელაშვილმა.

12 წლიანთა შორის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა თენგიზ კობიაშვილის აღსაზრდელი გიგი როსტომაშვილი. ამ ჩემპიონატებში მოპოვებული წარმატებებით ლევან დალბაშვილმა და ზუკა გამრეკელაშვილმა მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონატის საგზურები 10 წლიანთა შორის. ზუკა გამრეკელაშვილი ასევე იასპარეზებს 8 წლიანთა შორის, რომელიც ჩატარდება 20-29 აპრილს ქ. მარნეულში, 8-12 წლიანთა შორის კი 4-13 ივნისს ქ. ფოთში, სადაც გათამაშდება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ნორჩ მოჭადრაკეებს ამ მიზნის მიღწევაში.

გვერდი მოამზადა გ. დაბახიშვილმა

მიმდინარე მარტი არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებით აღინიშნა საგარეჯოში. 15 მარტს კი ჩვენმა ძიუდოს დარბაზმა საქართველოს მორიგ პირველობას უმასპინძლა, ამჯერად 2000-2001 წლიან გოგონებში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აჭარის, თბილისის, ბოლნისის, დმანისის, ზესტაფონის, წეროვანის, გორის, მცხეთა-მთიანეთისა და საბერძნეთის 2000-2001 წლიან გოგონა ძიუდოისტები. მათ შორის, რა თქმა უნდა, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ლუდა ფერაძის აღსაზრდელები, რომელთა წარმატებებზე არაერთხელ მიგვიწოდებია ინფორმაცია ჩვენი მკითხველისათვის.

როგორც ადრე, არც ამ შეჯიბრებაში შეირცხვინეს თავი გოგონებმა. ასპარეზობა 6 წონით კატეგორიაში ჩატარდა და არც ერთი მათგანი არ დარჩენილა ისე, რომ ჩემპიონობა თუ არა, საპრიზო ადგილი მაინც არ დაეკავებინოს.. პირველი მედლები და წარმატება საგარეჯოელებს 36კგ წონით კატეგორიაში **სალომე გულისაშვილმა** და **სალომე არაბულმა** მოუტანეს, რომლებმაც ამ წონაში მესამე ადგილები გაიყვეს.

40 კგ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო **სალომე ბლიაძემ,** ხოლო **ანა ასანიშვილი** III საპრიზო ადგილზე გავიდა ამავე წონაში. ანალოგიური შედეგი განმეორდა მომდევნო 44 კგ წონით კატეგორიაში, სადაც ჩემპიონობა **მარიამ კოხტაშვილმა** იზეიმა, ხოლო **ხათუნა თმაური** ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. 48 კგ წონაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა **ხატია მინდიაშვილმა**, **თინანო რევაზიშვილი** კი უძლიერესი აღმოჩნდა 52 კგ წონით კატეგორიაში. ამ ასპარეზობაში მან დაამარცხა საბერძნეთის წარმომადგენელი, იქ დაბადებული და აღზრდილი ანა კალაძე. სხვათა შორის, თინანომ მონაწილეობა მიიღო ანტალიაში ევროპის თასის გათამაშებაში, სადაც ასაკით პატარამ დიდებში იჭიდავა და დამწყები ძიუდოისტისათვის არცთუ ურიგოდ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **მარიამ კოხტაშვილის** წარმატება, რომელმაც ასპარეზობაში სძლია შიდა ქართლის – გორის, წეროვანის და სხვა რეგიონების გამოცდილ მეტოქეებს, რომლებიც წლებია ვარჯიშობენ, ჩვენი გოგონები კი სულ ერთი წელია, რაც ლუდა ფერაძემ ტატამზე დააყენა. ერთ წელიწადში საქართველოს პირველობაზე 4 ფინალის ჭიდაობა, საიდანაც 3 ოქროთი დაამთავრეს, მარტო საგარეჯოელების

ქალთა ძიუდო

ტატამზე კვლავ პირველობენ

კი არა, ქვეყნის ნებისმიერი გუნდისათვის მართლაც სანატრელი და საამაყო. ალბათ სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ფერაძის გოგონების ჭიდაობა ძალზე მოეწონა საბერძნეთიდან ჩამოსულ ანა კალაძის მამას და შეიძლება ისინი საბერძნეთში მიიწვიოს. მანამდე კი წინ ძალთა დიდი გამოცდა მოელით ჩვენს ფალავან გოგონებს. როგორც შევიტყვეთ მათ 18 მარტს იტალიიდან მიიღეს მიწვევა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც ა.წ. 10 მაისს ქ. ბარში გაიმართება და შესაძლებელია გოგონების გარდა იქ საგარეჯოელი ბიჭი ძიუდოისტებიც გაემგზავრნენ. მათი იტალიაში გამგზავრების და ვიზების ხარჯებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, ხოლო სასტუმროსა და კვების ხარჯებს ლუდა ფერაძის ყოფილი მოწაფე იტალიაში ძიუდოს მწვრთნელი გურამ რომელაშვილი გაიღებენ. აქვე საგარეჯოელი მოჭიდავე გოგონები და მათი მწვრთნელი დიდ მადლობას უხდიან „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორს **გია მაისურაძეს,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს**, შესაბამისი სამსახურის უფროსს **ჯაბა რევაზიშვილს** იმ დიდი მზრუნველობისა და თანადგომისათვის, რასაც ისინი იჩენენ მათი წვრთნა-დაოსტატებისათვის.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გამოსათხოვარი

სანდრო სიფროშვილი

ჩემო ძმაო სანდრო, აი უკვე 40 დღე გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარა ხარ. მხარი მომტეხე, გული მატკინე, მაგრამ იმითდა ვნუგეშობ, რომ სულეთში შენი ადგილი დაიმკვიდრე და იქიდან დალოცავ შენს ახლობლებს. ამ წუთისოფელში კარგი კაცი იყავი, ბევრი სიტყვა დაგრჩა სათქმელი, მაგრამ რას ვიზამთ, შენ ნათელში იყავ და დაე, შენმა მემკვიდრეებმა გააგრძელონ შენი ლამაზი სიცოცხლე. რომ იცოდე არც მეგობრებს დაგვავიწყდები და ყოველთვის დიდი მონატრებით გაგიხსენებთ.

დიდი სიყვარულით და გულისტკივილით

არსენ გზირიშვილი